

# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №20 2016 წლის 24 ნოემბერი

### ქ. დმანისი

#### დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №30 დადგენილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 22/12/2015, 190020020.35.156.016224).

#### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლერი ბერუაშვილი

დანართი №1

#### თავი I

#### დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

#### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |   |                      | 2017 წლის პროექტი |   |                      |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
|                         |                 | სულ             | მათ შორის   |                      | სულ               | მათ შორის   |                      |
|                         |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                   | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები             | 8,009.1         | 8,260.9         | 2,500.6   | 5,760.3              | 4,805.0           | 0.0   | 4,805.0              |
| გადასახადები            | 1,731.6         | 2,150.0         | 0.0   | 2,150.0              | 2,150.0           | 0.0   | 2,150.0              |
| გრანტები                | 4,082.1         | 4,530.5         | 2,500.6   | 2,029.9              | 2,374.7           | 0.0   | 2,374.7              |
| სხვა შემოსავლები        | 2,195.4         | 1,580.4         | 0.0   | 1,580.4              | 280.3             | 0.0   | 280.3                |
| ხარჯები                 | 3,254.5         | 3,727.3         | 50.0  | 3,677.3              | 3,620.0           | 0.0   | 3,620.0              |
| შრომის ანაზღაურება      | 1,112.5         | 1,122.0         | 0.0   | 1,122.0              | 1,162.4           | 0.0   | 1,162.4              |
| საქონელი და მომსახურება | 700.8           | 1,065.3         | 50.0  | 1,015.3              | 886.6             | 0.0   | 886.6                |
| სუბსიდიები              | 1,090.5         | 1,318.0         | 0.0   | 1,318.0              | 1,323.0           | 0.0   | 1,323.0              |



|                                 |         |          |         |          |         |     |         |
|---------------------------------|---------|----------|---------|----------|---------|-----|---------|
| გრანტები                        | 169.4   | 40.0     | 0.0     | 40.0     | 38.0    | 0.0 | 38.0    |
| სოციალური უზრუნველყოფა          | 173.6   | 164.0    | 0.0     | 164.0    | 180.0   | 0.0 | 180.0   |
| სხვა ხარჯები                    | 7.7     | 18.0     | 0.0     | 18.0     | 30.0    | 0.0 | 30.0    |
| საოპერაციო სალდო                | 4,754.6 | 4,533.6  | 2,450.6 | 2,083.0  | 1,185.0 | 0.0 | 1,185.0 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3,629.8 | 6,109.8  | 2,461.8 | 3,648.0  | 1,185.0 | 0.0 | 1,185.0 |
| ზრდა                            | 3,650.5 | 6,119.8  | 2,461.8 | 3,658.0  | 1,210.0 | 0.0 | 1,210.0 |
| კლება                           | 20.7    | 10.0     | 0.0     | 10.0     | 25.0    | 0.0 | 25.0    |
| მთლიანი სალდო                   | 1,124.8 | -1,576.2 | -11.2   | -1,565.0 | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | 1,118.5 | -1,606.2 | -11.2   | -1,595.0 | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ზრდა                            | 1,147.7 | 0.0      | 0.0     | 0.0      | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 1,147.7 | 0.0      | 0.0     | 0.0      |         |     |         |
| კლება                           | 29.2    | 1,606.2  | 11.2    | 1,595.0  | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 29.2    | 1,606.2  | 11.2    | 1,595.0  | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ვალდებულებების ცვლილება         | -6.3    | -30.0    | 0.0     | 30.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ზრდა                            |         |          |         |          |         |     |         |
| საგარეო                         |         |          |         |          |         |     |         |
| საშინაო                         | 0.0     |          |         |          |         |     |         |
| კლება                           |         | 30.0     | 0.0     | 30.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| საგარეო                         |         |          |         |          |         |     |         |
| საშინაო                         | 6.3     | 30.0     | 0.0     | 30.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     |
|                                 |         |          |         |          | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ბალანსი                         | 0.0     |          |         |          | 0.0     | 0.0 | 0.0     |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |   |                      | 2017 წლის პროექტი |   |                      |
|------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
|            |                 | სულ             | მათ შორის                                 |                      | სულ               | მათ შორის                                 |                      |
|            |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები |                   | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები |
|            |                 |                 |   |                      |                   |   |                      |



|                              |               |               | ტრანსფერები   |               |               | ტრანსფერები |               |
|------------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|-------------|---------------|
| შემოსულობები                 | 8029.8        | 8270.9        | 2500.6        | 5770.3        | 4830.0        | 0.0         | 4830.0        |
| შემოსავლები                  | 8009.1        | 8260.9        | 2500.6        | 5760.3        | 4805.0        | 0.0         | 4805.0        |
| არაფინანსური აქტივების კლება | 20.7          | 10.0          | 0.0           | 10.0          | 25.0          | 0.0         | 25.0          |
| ფინანსური აქტივების კლება    | 0.0           | 0.0           | 0.0           | 0.0           | 0.0           | 0.0         | 0.0           |
| <b>გადასახდელები</b>         | <b>6905.0</b> | <b>9847.1</b> | <b>2511.8</b> | <b>7335.3</b> | <b>4830.0</b> | <b>0.0</b>  | <b>4830.0</b> |
| ხარჯები                      | 3254.5        | 3727.3        | 50.0          | 3677.3        | 3620.0        | 0.0         | 3620.0        |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  | 3650.5        | 6119.8        | 2461.8        | 3658.0        | 1210.0        | 0.0         | 1210.0        |
| ნაშთის ცვლილება              | 1124.8        | -1576.2       | -11.2         | -1565.0       | 0.0           | 0.0         | 0.0           |

მუხლი 3. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 4805.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება       | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |   |                      | 2017 წლის პროექტი |   |                      |
|------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
|                  |                 | სულ             | მათ შორის   |                      | სულ               | მათ შორის   |                      |
|                  |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                   | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები      | 8009.1          | 8260.9          | 2500.6  | 5760.3               | 4805.0            | 0.0   | 4805.0               |
| გადასახადები     | 1731.6          | 2150.0          |   | 2150.0               | 2150.0            |   | 2150.0               |
| გრანტები         | 4082.1          | 4530.5          | 2500.6  | 2029.9               | 2374.7            | 0.0   | 2374.7               |
| სხვა შემოსავლები | 2195.4          | 1580.4          |   | 1580.4               | 280.3             |   | 280.3                |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

| დასახელება             | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |   |                      | 2017 წლის პროექტი |   |                      |
|------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
|                        |                 | სულ             | მათ შორის   |                      | სულ               | მათ შორის   |                      |
|                        |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                   | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები           | 1731.6          | 2150.0          | 0.0   | 2150.0               | 2150.0            | 0.0   | 2150.0               |
| საშემოსავლო გადასახადი | 0               | 450.0           | 0.0   | 450.0                | 250.0             | 0.0   | 250.0                |



|   |            |            |            |            |            |            |            |
|---|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| ქონების გადასახადი                            | 1731.6     | 1700.0     | 0.0        | 1700.0     | 1900.0     | 0.0        | 1900.0     |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1015.8     | 1100.0     | 0.0        | 1100.0     | 1180.0     | 0.0        | 1180.0     |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         | 2.1        | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე         | 687.6      | 580.0      | 0.0        | 580.0      | 700.0      | 0.0        | 700.0      |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე      | 26.1       | 20.0       | 0.0        | 20.0       | 20.0       | 0.0        | 20.0       |
| <b>სხვა გადასახადები</b>                      | <b>0.0</b> | <b>0.0</b> | <b>0.0</b> | <b>0.0</b> | <b>0.0</b> | <b>0.0</b> | <b>0.0</b> |

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2374.7 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება   | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი |
|--|-----------------|-----------------|-------------------|
| <b>გრანტები</b>  | <b>4082.1</b>   | <b>4530.5</b>   | <b>2374.7</b>     |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი                                       | 4082.1          | 4530.5          | 2374.7            |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები  | 1770.3          | 2029.9          | 2374.7            |
| გათანაბრებითი ტრანსფერი  | 1655.3          | 1914.9          | 2259.7            |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად              | 115.0           | 115.0           | 115.0             |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები  | 2311.8          | 2500.6          | 0.0               |
| საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები          | 1653.3          | 1406            | 0                 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა  | 658.5           | 600.6           | 0                 |
| საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანხები | 0.0             |                 |                   |
| სტიქიის შდეგების სალიკვიდაციო ფონდი  | 0.0             | 0.0             | 0.0               |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი                                      |                 | 494             | 0.0               |

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 280.3 ათასი ლარის ოდენობით:

|  | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი |
|--|-----------------|-------------------|
|  |                 |                   |



| დასახელება   | 2015 წლის ფაქტი | მათ შორის |   |                      | მათ შორის |   |                      |
|--|-----------------|-----------|---|----------------------|-----------|---|----------------------|
|  |                 | სულ       | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ       | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები   | 2195.4          | 1580.4    | 0.0   | 1580.4               | 280.3     | 0.0   | 280.3                |
| შემოსავლები საკუთრებიდან   | 2110.0          | 1510.0    | 0.0   | 1510.0               | 180.0     | 0.0   | 180.0                |
| პროცენტები   | 61.9            | 50.0      | 0.0   | 50.0                 | 0.0       |   | 0.0                  |
| რენტა  | 2048.1          | 1460.0    | 0.0   | 1460.0               | 180.0     | 0.0   | 180.0                |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის                                | 1966.8          | 1400.0    |   | 1400.0               | 90.0      |   | 90.0                 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 81.3            | 60.0      |   | 60.0                 | 90.0      |   | 90.0                 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია   | 44.2            | 30.4      | 0.0   | 30.4                 | 52.3      | 0.0   | 52.3                 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები                                    | 9.1             | 11.4      | 0.0   | 11.4                 | 17.3      | 0.0   | 17.3                 |
| სანებართვო მოსაკრებელი   | 2.7             | 5.0       |   | 5.0                  | 2         |   | 2.0                  |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი                          | 0.0             | 0.4       |   | 0.4                  | 0         |   | 0.0                  |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                 | 6.4             | 6.0       |   | 6.0                  | 15.3      |   | 15.3                 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი  | 0.0             | 0.0       |   | 0                    | 0         |   | 0                    |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება                                | 35.1            | 19.0      | 0.0   | 19.0                 | 35.0      | 0.0   | 35.0                 |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან   | 0.0             | 0.0       |   | 0.0                  | 0.0       |   | 0.0                  |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან   | 35.1            | 19.0      |   | 19.0                 | 35.0      | 0.0   | 35.0                 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები   | 41.0            | 40.0      |   | 40.0                 | 25.0      |   | 25.0                 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები                                   | 0.2             | 0.0       | 0.0   | 0.0                  | 23.0      |   | 23.0                 |

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 3620.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

|  | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი |
|--|-----------------|-------------------|
|  |                 |                   |



| დასახელება              | 2015 წლის ფაქტი | სულ     | მათ შორის   |                      | სულ     | მათ შორის   |                      |
|-------------------------|-----------------|---------|---|----------------------|---------|---|----------------------|
|                         |                 |         | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |         | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები                 | 3,254.5         | 3,727.3 | 50.0  | 3,677.3              | 3,620.0 | 0.0   | 3,620.0              |
| შრომის ანაზღაურება      | 1,112.5         | 1,122.0 |   | 1,122.0              | 1,162.4 |   | 1,162.4              |
| საქონელი და მომსახურება | 700.8           | 1,065.3 | 50.0  | 1,015.3              | 886.6   | 0.0   | 886.6                |
| სუბსიდიები              | 1,090.5         | 1,318.0 |   | 1,318.0              | 1,323.0 |   | 1,323.0              |
| გრანტები                | 169.4           | 40.0    |   | 40.0                 | 38.0    |   | 38.0                 |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 173.6           | 164.0   |   | 164.0                | 180.0   |   | 180.0                |
| სხვა ხარჯები            | 7.7             | 18.0    |   | 18.0                 | 30.0    |   | 30.0                 |

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1185.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1210.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| კოდი  | დასახელება  | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი |
|-------|---|-----------------|-----------------|-------------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 315.2           | 290.30          | 100.00            |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება           | 0.0             | 0.0             | 0.0               |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია  | 3306.6          | 5829.5          | 1110.0            |
| 0500  | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი      | 28.7            | 0.0             | 0.0               |
|       | სულ ჯამი  | 3650.5          | 6119.8          | 1210.0            |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 25.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება                   | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი |
|------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 20.7            | 10.0            | 25.0              |
| ძირითადი აქტივები            | 9.5             | 5.0             | 20.0              |



|  |                        |      |     |     |
|--|------------------------|------|-----|-----|
|  | არაწარმოებული აქტივები | 11.2 | 5.0 | 5.0 |
|  | მიწა                   | 11.2 | 5.0 | 5.0 |

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| კოდი       | დასახელება  | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი |
|------------|---|-----------------|-----------------|-------------------|
| <b>701</b> | <b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>   | <b>1,950.9</b>  | <b>2,190.6</b>  | <b>2,027.0</b>    |
| 7011       | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 0.0             | 0.0             | 0.0               |
| 70111      | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა  | 1,950.9         | 2,190.6         | 2,027.0           |
| 70112      | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა   | 0.0             |                 |                   |
| 7018       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში   | 0.0             |                 |                   |
| <b>702</b> | <b>თავდაცვა</b>   | <b>61.4</b>     | <b>65.0</b>     | <b>65.0</b>       |
| <b>703</b> | <b>საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>  | <b>164.7</b>    | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>        |
| 7031       | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა  | 0.0             | 0.0             |                   |
| 7032       | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა   | 164.7           | 0.0             | 0.0               |
| <b>704</b> | <b>ეკონომიკური საქმიანობა</b>   | <b>2,228.3</b>  | <b>4,602.4</b>  | <b>860.0</b>      |
| 7042       | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა   | 0.0             |                 |                   |
| 70421      | სოფლის მეურნეობა  |                 |                 |                   |
| 7045       | ტრანსპორტი  | 0.0             |                 |                   |
| 70451      | სავაჭრომობილო ტრანსპორტი და გზები   | 2,228.3         | 4,602.4         | 860.0             |
| <b>705</b> | <b>გარემოს დაცვა</b>  | <b>216.2</b>    | <b>270.0</b>    | <b>270.0</b>      |
| 7051       | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება   | 216.2           | 270.0           | 270.0             |
| <b>706</b> | <b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>   | <b>1,204.7</b>  | <b>1,487.1</b>  | <b>330.0</b>      |
| 7061       | ბინათმშენებლობა   | 240.0           | 267.3           | 300.0             |
| 7063       | წყალმომარაგება  | 219.7           | 50.5            | 30.0              |
| 7064       | გარე განათება   | 2.1             | 103.3           | 0.0               |
| 7066       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში  | 742.9           | 1,066.0         | 0.0               |



|       |   |         |         |         |
|-------|---|---------|---------|---------|
| 707   | ჯანმრთელობის დაცვა  | 48.0    | 48.0    | 48.0    |
| 7074  | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                                    | 48.0    | 48.0    | 48.0    |
| 708   | დასვენება, კულტურა და რელიგია   | 473.8   | 585.0   | 583.0   |
| 7081  | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                              | 153.7   | 160.0   | 160.0   |
| 7082  | მომსახურება კულტურის სფეროში  | 320.1   | 425.0   | 423.0   |
| 709   | განათლება   | 315.5   | 387.0   | 390.0   |
| 7091  | სკოლამდელი აღზრდა   | 264.4   | 322.0   | 325.0   |
| 7096  | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება                                  | 51.1    | 65.0    | 65.0    |
| 710   | სოციალური დაცვა   | 247.7   | 242.0   | 257.0   |
| 7101  | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა   | 79.2    | 87.0    | 80.0    |
| 71011 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                                  | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 7107  | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 43.2    | 48.0    | 50.0    |
| 7109  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში             | 125.3   | 107.0   | 127.0   |
|       | სულ   | 6,911.2 | 9,877.1 | 4,830.0 |

#### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0.0 ათასი ლარი.

#### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარი.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარი.

#### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება.

#### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80.0 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 115.0 ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 48.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 65.0 ათასი ლარი.

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათასი





2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი II**

**დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა**

ისევე როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ასევე დმანისის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს; მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, 2017 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ:



ქ.დმანისში ქუბერის და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა. ასევე გაგრძელდება სოფ. ირგანჩაის-საფარლო, სოფ. კიზილაჯლო-იფნარის გზის 3კმ-იანი მონაკვეთის მოასფალტება. ქ.დმანისში არსებული ქუჩების ასფალტ-ბიტონის გზის და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, ასევე სოფ. დალარის მისასვლელი გზის მოასფალტება.

### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება შიდა რაიონული მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვნად მოწესრიგდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებთან მისასვლელი გზები.

### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- რეაბილიტირებული გზების ზრდა 30%-ით.

## **2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალ-მომარაგების და გარე განთების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

### **2.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფელებში სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო-სამუშაოები და მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის წყლის მიწოდება. ასევე გათვალისწინებულია სოფ.გომარეთის მთის წყლის სათავე ნაგებობის და 6კმ-იანი მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაცია.

### **2.2.2 ბინათმშენებლობა პროგრამული კოდი 03 02 02**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.დმანისში მრავალსართულიანი შენობების საცხოვრებელი ბინების სახლის სახურავების რეაბილიტაცია.

### **2.2.3 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ქსელის მოვლა-შენახვა.

### **2.2.4. დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ დმანისის ცენტრალურ ქუჩებზე ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ხოლო სოფელებში შედარებით ნაკლები ინტერვალით ნარჩენების გატანა კვირაში 3 დღე, ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარაში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**



დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ბინათმშენებლობაში გათვალისწინებულია მრავალსართულიანი ბინების სახურავების მოვლა-შენახვა, გარე განათების ქსელის გაფართოება, ტერიტორიის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისაგან დაცვა.

### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ქუჩების განათების ზრდა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან განთავისუფლება.

### **2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მომზადება.

#### **2.3.1 ქალაქის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის და ნახაზების მომზადების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ დმანისის ქუჩების შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მომზადება.

### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები**

- ქალაქ დმანისის კეთილმოწყობა;
- შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მომზადება.

### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილების რაოდენობა;
- საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომობა.

### **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. საანგარიშო წელს გათვალისწინებულია სარკინეთი-განახლება-ველისპირის სოფლებში ერთი საბავშვო მშენებლობა. აღიჭურვა სათანადო ინვენტარით. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას. ყველა ბაღში დაგეგმილია შენობების ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა და მათი კეთილმოწყობა.

#### **3.1 სკოლამდელი განათლება(პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი 11 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 340 ბავშვის ოდენობით, თითოეულ ჯგუფში დასაშვებია კონტინგენტი არაუმეტეს 35 ბავშვისა, რომელსაც ემსახურება 44 საშტატო ერთეული.

### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები**

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის;

### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**



- საბავშვო ბაღების და მათი აღსაზრდელების რაოდენობა
- კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები;

### 3.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მისცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს, რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინგლისურის, ქართული ენის ჯგუფები ეთნიკური უმცირესობისათვის და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები. სადაც ფუნქციონირებს 16 ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია 10-10 მოსწავლე, რომლის რაოდენობაც საშუალოდ შეადგენს -154 მოსწავლეს. დმანისის მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა.

### 4. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

#### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 204-მდე სპორტსმენს.

##### 4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სპორტულ შეჯიბრებებში, რაც უდავო ასახვას ჰპოვებს შემდგომ ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისდებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

##### 4.1.2 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „მიუდოს“ ექვსი ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 96 მოსწავლე, ჭადრაკის 2 ჯგუფში 20 მოსწავლე, ხოლო „ქართული ჭიდაობის“, „ფეხბურთის“, ფრენბურთის, თავისუფალი ჭიდაობის,



### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენთა რაოდენობა;

### 4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში, გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები რომელშიც სწავლობს 148-მდე მოსწავლე, ხოლო მუსიკალურ სკოლებში სწავლობს - 80-მდე მოსწავლე, რასაც ემსახურება 10 პედაგოგი, რომლის კვირეული დატვირთვა სავარაუდოდ თითოეულ პედაგოგზე შეადგენს 18 საათს და მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით, 4 ბიბლიოთეკა და „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია.

#### 4.2.1 კულტურის ცენტრის დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში, გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება: კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა, 4 ბიბლიოთეკა და „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“.

#### 4.2.2. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02 – 05 02 03 - 05-02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სუბსიდირება კულტურის, მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკების გაერთიანების. ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ხორციელდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება-დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას. ორი სპექტაკლის დადგმა დრამატულ თეატრში.

### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება;



- კულტურის ობიექტების გამართული მუშაობა.

## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურის ობიექტების რაოდენობა და მდგომარეობა.

## 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

### 5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქ. დმანისის და მის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მომხამვების, აგრეთვე, პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

### 5.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

#### 5.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა(პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, 0-დან 100000 ქულამდე) საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ოპერაციებზე დახმარების გაწევას,



რომელიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება. ასევე სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ონკოლოგიური და ლეიკემიით დაავადების მქონე პირების დახმარება, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდებიან და მარჩენალდაკარგული ოჯახების გამოკვლევა-მკურნალობით და მედიკამენტებით დახმარების პროგრამას.

|                 | <b>ხარჯები</b>                                      | 79.1        | 87.0        | 0.0        | 87.0        | 90.0        | 0.0        | 90.0        |
|                 | საქონელი და მომსახურება                             | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                              | 79.1        | 87.0        | 0.0        | 87.0        | 90.0        | 0.0        | 90.0        |
| <b>06 02 02</b> | <b>ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება</b>            | <b>1.5</b>  | <b>0.0</b>  | <b>0.0</b> | <b>0.0</b>  | <b>0.0</b>  | <b>0.0</b> | <b>0.0</b>  |
|                 | ხარჯები   | 1.5         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
|                 | საქონელი და მომსახურება                             | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                              | 1.5         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
| <b>06 02 03</b> | <b>სოციალურად დაუცველთა ოპერაციების დაფინანსება</b> | <b>66.4</b> | <b>70.0</b> | <b>0.0</b> | <b>70.0</b> | <b>80.0</b> | <b>0.0</b> | <b>80.0</b> |
|                 | <b>ხარჯები</b>                                      | <b>60.7</b> | <b>70.0</b> | <b>0.0</b> | <b>70.0</b> | <b>80.0</b> | <b>0.0</b> | <b>80.0</b> |
|                 | საქონელი და მომსახურება                             | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                              | 60.7        | 70.0        | 0.0        | 70.0        | 80.0        | 0.0        | 80.0        |
|                 | ვალდებულების კლება                                  | 5.7         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
| <b>06 02 04</b> | <b>ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები</b>                 | <b>2.5</b>  | <b>2.0</b>  | <b>0.0</b> | <b>2.0</b>  | <b>2.0</b>  | <b>0.0</b> | <b>2.0</b>  |
|                 | <b>ხარჯები</b>                                      | <b>2.5</b>  | <b>2.0</b>  | <b>0.0</b> | <b>2.0</b>  | <b>2.0</b>  | <b>0.0</b> | <b>2.0</b>  |
|                 | საქონელი და მომსახურება                             | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                              | 2.5         | 2.0         | 0.0        | 2.0         | 2.0         | 0.0        | 2.0         |
| <b>06 02 05</b> | <b>ააიპ „დმანისის სათნოების სახლი“</b>              | <b>43.2</b> | <b>48.0</b> | <b>0.0</b> | <b>48.0</b> | <b>50.0</b> | <b>0.0</b> | <b>50.0</b> |
|                 | <b>ხარჯები</b>                                      | <b>43.2</b> | <b>48.0</b> | <b>0.0</b> | <b>48.0</b> | <b>50.0</b> | <b>0.0</b> | <b>50.0</b> |
|                 | საქონელი და მომსახურება                             | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
|                 | სუბსიდია  | 43.2        | 48.0        | 0.0        | 48.0        | 50.0        | 0.0        | 50.0        |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                              | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |
| <b>06 02 06</b> | <b>სტუდენტებისა და ვეტერანების უფასო მგზავრობა</b>  | <b>27.9</b> | <b>35.0</b> | <b>0.0</b> | <b>35.0</b> | <b>0.0</b>  | <b>0.0</b> | <b>35.0</b> |
|                 | ხარჯები   | 27.9        | 35.0        | 0.0        | 35.0        | 0.0         | 0.0        | 35.0        |
|                 | საქონელი და მომსახურება                             | 27.9        | 35.0        | 0.0        | 35.0        | 0.0         | 0.0        | 35.0        |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                              | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         | 0.0         | 0.0        | 0.0         |



|          |                                  |      |     |     |     |     |     |     |
|----------|----------------------------------|------|-----|-----|-----|-----|-----|-----|
| 06 02 07 | მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები | 27.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
|          | ხარჯები                          | 27.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
|          | საქონელი და მომსახურება          | 0.0  | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
|          | სოციალური უზრუნველყოფა           | 27.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების

### დოკუმენტი

#### დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დმანისის მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2015-2020 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

დმანისის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- თავდაცვა;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

### 2015-2016 წლების მოკლე მიმოხილვა

2015 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 8029.7 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 1731.6 ათასი ლარი, გრანტები 4082.1 სხვა შემოსავლები 2195.4 ათასი ლარი, პრივატიზაციიდან შემოსულმა სახსრებმა შეადგინა 20.7 ათასი ლარი. 2015 წლის ბოლოს დაგროვილმა ნაშთმა შეადგინა 1606.2 ათასი ლარი, საიდანაც 11.2 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთი.

მოხილული სახსრებიდან საკუთარი შემოსავლები შეადგენს 5697.3 ათას ლარს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები შეადგენს 1770.3 ათას ლარს, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 1655,3 ათასი ლარი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის 115,0



ათასი ლარი.

2016 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 9877,1 ათას ლარს, მათ შორის გადასახადები 2150,0 ათასი ლარი, გრანტები 4530,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 1580,4 ათასი ლარი, პრივატიზაციიდან შემოსული სახსრები 20,7 ათას ლარი. მობილიზებული სახსრებიდან საკუთარი შემოსავლები შეადგენს 5760,3 ათას ლარს, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები შეადგენს 115.0 ათას ლარს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, ხოლო გათანაბრებითი ტრანსფერი 1914,9 ათასი ლარი.

| დასახელება                      | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|---------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| შემოსავლები                     | 8,009.1         | 8,260.9         | 4,805.0           | 4,978.8            | 4,978.8            | 4,978.8            |
| გადასახადები                    | 1,731.6         | 2,150.0         | 2,150.0           | 2,202.0            | 2,202.0            | 2,202.0            |
| გრანტები                        | 4,082.1         | 4,530.5         | 2,374.7           | 2,450.0            | 2,450.0            | 2,450.0            |
| სხვა შემოსავლები                | 2,195.4         | 1,580.4         | 280.3             | 326.8              | 326.8              | 326.8              |
| ხარჯები                         | 3,254.5         | 3,727.3         | 3,620.0           | 3,688.8            | 3,688.8            | 3,688.8            |
| შრომის ანაზღაურება              | 1,112.5         | 1,122.0         | 1,162.4           | 1,212.8            | 1,212.8            | 1,212.8            |
| საქონელი და მომსახურება         | 700.8           | 1,065.3         | 886.6             | 916.0              | 916.0              | 916.0              |
| სუბსიდიები                      | 1,090.5         | 1,318.0         | 1,323.0           | 1,340.0            | 1,340.0            | 1,340.0            |
| გრანტები                        | 169.4           | 40.0            | 38.0              | 40.0               | 40.0               | 40.0               |
| სოციალური უზრუნველყოფა          | 173.6           | 164.0           | 180.0             | 180.0              | 180.0              | 180.0              |
| სხვა ხარჯები                    | 7.7             | 18.0            | 30.0              |                    |                    |                    |
| საოპერაციო სალდო                | 4,754.6         | 4,533.6         | 1,185.0           | 1,290.0            | 1,290.0            | 1,290.0            |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3,629.8         | 6,109.8         | 1,175.0           | 1,290.0            | 1,290.0            | 1,290.0            |
| ზრდა                            | 3,650.5         | 6,119.8         | 1,200.0           | 1,310.0            | 1,310.0            | 1,310.0            |
| კლება                           | 20.7            | 10.0            | 25.0              | 20.0               | 20.0               | 20.0               |
| მთლიანი სალდო                   | 1,124.8         | -1,576.2        | 0.0               | 0.0                | 0.0                | 0.0                |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | 1,118.5         | -1,606.2        | 0.0               | 0.0                | 0.0                | 0.0                |
| ზრდა                            | 1,147.7         | 0.0             |                   |                    |                    |                    |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 1,147.7         | 0               |                   |                    |                    |                    |
| კლება                           | 29.2            | 1,606.2         |                   |                    |                    |                    |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 29.2            | 1,606.2         |                   |                    |                    |                    |
| ვალდებულებების                  | -6.3            | -30.0           |                   |                    |                    |                    |



|          |      |       |     |  |     |     |
|----------|------|-------|-----|--|-----|-----|
| ცვლილება | -6.3 | -30.0 |     |  |     |     |
| ზრდა     |      |       |     |  |     |     |
| საგარეო  |      |       |     |  |     |     |
| საშინაო  |      |       |     |  |     |     |
| კლება    |      | 0.0   | 0.0 |  |     |     |
| საგარეო  |      |       |     |  |     |     |
| საშინაო  | 6.3  | 30.0  | 0.0 |  |     |     |
|          |      |       | 0.0 |  |     |     |
| ბალანსი  | 0.0  |       | 0.0 |  | 0.0 | 0.0 |

| № | დასახელება  | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|---|---|-----------------|-----------------|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 1 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 1950.9          | 2190.6          | 2027.0            | 2083.8             | 2083.8             | 2083.8             |
| 2 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება           | 226.1           | 65.0            | 65.0              | 65.0               | 65.0               | 65.0               |
| 3 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია  | 3649.3          | 6359.5          | 1460.0            | 1550.0             | 1550.0             | 1550.0             |
| 4 | განათლება   | 315.5           | 387.0           | 390.0             | 390.0              | 390.0              | 390.0              |
| 5 | კულტურა და სპორტი   | 472.8           | 585.0           | 583.0             | 600.0              | 600.0              | 600.0              |
| 6 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა  | 296.6           | 290.0           | 305.0             | 310.0              | 310.0              | 310.0              |
|   | სულ ჯამი:   | 6911.2          | 9877.1          | 4830.0            | 4998.8             | 4998.8             | 4998.8             |

დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები

1. თავდაცვა



ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

| პროგრამული კოდი | დასახელება  | 2017 წლის პროექტი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|-----------------|---|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 02 00           | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება   | 65.0              | 65.0               | 65.0               | 65.0               |
| 02 01           | საგანგებო სიტუაციების მართვა                      | 0.0               | 0.0                | 0.0                | 0.0                |
| 02 02           | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 65.0              | 65.0               | 65.0               | 65.0               |

### 1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

### 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია კოდი 03 00

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2017 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში წყალ-მომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| პროგრამული კოდი | დასახელება   | 2017 წლის პროექტი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|-----------------|--|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 03 00           | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია           | 1460.0            | 1550.0             | 1550.0             | 1550.0             |
| 03 01           | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა    | 860.0             | 1250.0             | 1250.0             | 1250.0             |
| 03 02           | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 600.0             | 300.0              | 300.0              | 300.0              |



|          |   |            |            |            |            |
|----------|---|------------|------------|------------|------------|
| 03 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია                             | 30.0       | 30.0       | 30.0       | 30.0       |
| 03 02 02 | ბინათმშენებლობა (სახურავების შეკეთება)                                  | 300.0      | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| 03 02 03 | გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია                    | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| 03 02 04 | დასუფთავების ღონისძიებები   | 270.0      | 270.0      | 270.0      | 270.0      |
| 03 02 05 | წისქვილის მშენებლობა  | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| 03 03    | <b>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>                       | <b>0.0</b> | <b>0.0</b> | <b>0.0</b> | <b>0.0</b> |
| 03 03 01 | მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა             | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| 03 03 02 | ქ.დმანისისში შენობების ფასადების და მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| 03 03 03 | სასაფლაოს შემოღობვა   | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| 03 03 04 | ქ.დმანისში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა                   | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |
| 03 04    | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები   | 0.0        | 0.0        | 0.0        | 0.0        |

## 2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. კერძოდ:

ქ.დმანისში ჭუბერის და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა. ასევე გაგრძელდება სოფ. ირგანჩაის-საფარლო, სოფ. კიზილაჯლო-იფნარის გზის ჰკმ-იანი მონაკვეთის მოასფალტება. ქ.დმანისში არსებული ქუჩების ასფალტ-ბეტონის გზის და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, ასევე სოფ. დალარის მისასვლელი გზის მოასფალტება.

### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება შიდა რაიონული მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებთან მისასვლელი გზები.

### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- რეაბილიტირებული გზების ზრდით.

## 2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(პროგრამული კოდი 03 02)





პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალმომარაგების და გარე განთების ქსელის გაფართოება და არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, ასევე დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

### 2.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის წყლის მიწოდება.

### 2.2.2 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. დმანსში მრავალსართულიანი შენობების საცხოვრებელი ბინების სახურავების რეაბილიტაცია.

### 2.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. დმანსის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

დმანსის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ბინათმშენებლობაში მრავალსართულიანი ბინების სახურავების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, ტერიტორიის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისაგან დაცვა.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების მდგომარეობა;
- ქუჩების განათება;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან განთავისუფლება.

### 2.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ დმანსის ცენტრალურ ქუჩებზე ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ხოლო სოფლებში შედარებით ნაკლები ინტერვალით ნარჩენების გატანა კვირაში 3 დღე, ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდ თოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარაში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

დმანსის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ბინათმშენებლობაში გათვალისწინებულია მრავალსართულიანი ბინების სახურავების მოვლა-შენახვა, გარე განათების ქსელის გაფართოება, ტერიტორიის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისაგან



**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ქუჩების განათების ზრდა.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება.

**2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მომზადება.

**2.3.1 ქალაქის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის და ნახაზების მომზადების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ დმანისის ქუჩების შენობა-ნაგებობების შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მომზადება.

**3. განათლება (პროგრამული კოდი 0400)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. საანგარიშო წელს გათვალისწინებულია სარკინეთი-განახლება-ველისპირის სოფლებში ერთი საბავშვო მშენებლობა. აღიჭურვა სათანადო ინვენტარით. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას. ყველა ბაღში დაგეგმილია შენობების ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა და მათი კეთილმოწყობა.

| პროგრამული კოდი | დასახელება                          | 2017 წლის პროექტი | 2017 წლის პროგნოზი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი |
|-----------------|-------------------------------------|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 04 00           | განათლება                           | 390.0             | 390.0              | 390.0              | 390.0              |
| 04 01           | სკოლამდელი განათლების დაფინანსება   | 325.0             | 325.0              | 325.0              | 325.0              |
| 04 02           | საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება | 65.0              | 65.0               | 65.0               | 65.0               |

**3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი 11 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 340 ბავშვის ოდენობით, თითოეულ ჯგუფში დასაშვებია კონტინგენტი არაუმეტეს 35 ბავშვისა, რომელსაც ემსახურება 44 სამტატო ერთეული.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები**



· სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საბავშვო ბაღების და მათი აღსაზრდელების რაოდენობა;
- კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები.

**3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიეცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს, რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინგლისურისა და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები. სადაც ფუნქციონირებს 16 ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია 10-10 მოსწავლე, რომლის რაოდენობაც საშუალოდ შეადგენს 154 მოსწავლეს. მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**

- მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

| პროგრამული კოდი | დასახელება   | 2017 წლის პროექტი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|-----------------|--|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 05 00           | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 583.0             | 600.0              | 600.0              | 600.0              |
| 05 01           | სპორტის განვითარების ხელშეწყობა                        | 160.0             | 165.0              | 165.0              | 165.0              |
| 05 01 01        | ააიპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“          | 160.0             | 165.0              | 165.0              | 165.0              |
| 05 01 02        | ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა             | 0.0               | 0.0                | 0.0                | 0.0                |
| 05 02           | კულტურის განვითარების ხელშეწყობა                       | 423.0             | 435.0              | 435.0              | 435.0              |
| 05 02 01        | ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“                  | 250.0             | 255.0              | 255.0              | 255.0              |



|          |  |      |      |      |      |
|----------|--|------|------|------|------|
| 05 02 02 | სსიპ „ზინაიდა კერენჭილაძის სახ.დმანისის სახელმწიფო დრამატული თეატრი“ | 18.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 05 02 03 | ააიპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“                                       | 80.0 | 80.0 | 80.0 | 80.0 |
| 05 02 04 | ააიპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამასახური“                              | 75.0 | 80.0 | 80.0 | 80.0 |

#### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 204-მდე სპორტსმენს;

##### 4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისდებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

##### 4.1.2 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“ ექვსი ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 96 მოსწავლე, ჭადრაკის 2 ჯგუფში 20 მოსწავლე, ხოლო „ქართული ჭიდაობის“, „ფეხბურთის“, ფრენბურთის, თავისუფალ ჭიდაობის, ორთაბძოლა, ტაეკვანდოს და ხრიდოლის თითო-თითო ჯგუფში გაერთიანებულია 88 მოსწავლე სულ 204-მდე მოსწავლე;

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენტა რაოდენობა.

#### 4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი, სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები, რომლებშიც სწავლობს 148-მდე მოსწავლე, ხოლო



მუსიკალურ სკოლებში სწავლობს 80-მდე მოსწავლე, სადაც ემსახურება 10 პედაგოგი, რომლის კვირეული დატვირთვა სავარაუდოდ თითოეულ პედაგოგზე შეადგენს 18 საათს და მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით, 4 ბიბლიოთეკა და „ზინაიდა კვერენჩხილადის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“. წლის განმავლობაში დაიდგმება თეატრის მიერ 2 სპექტაკლი.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია.

#### 4.2.1 კულტურის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება: კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა, 4 ბიბლიოთეკა და ზინაიდა კვერენჩხილადის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“.

#### 4.2.2 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სუბსიდირება კულტურისა და ბიბლიოთეკების გაერთიანება. ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ხორციელდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება-დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება;
- კულტურის ობიექტების გამართული მუშაობა.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურის ობიექტების რაოდენობა და მდგომარეობა.

#### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.



| პროგრამული კოდი | დასახელება  | 2017 წლის პროექტი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|-----------------|---|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 06 00           | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა            | 305.0             | 310.0              | 310.0              | 310.0              |
| 06 01           | ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“                              | 48.0              | 50.0               | 50.0               | 50.0               |
| 06 02           | სოციალური პროგრამები  | 257.0             | 260.0              | 260.0              | 260.0              |
| 06 02 01        | ავადმყოფთა სოციალური დაცვა  | 90.0              | 92.0               | 92.0               | 92.0               |
| 06 02 02        | ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება                                   | 0.0               | 0.0                | 0.0                | 0.0                |
| 06 02 03        | სოციალურდაუცველთა ოპერაციების ხარჯები                               | 80.0              | 80.0               | 80.0               | 80.0               |
| 06 02 04        | სარიტუალო მომსახურება   | 2.0               | 3.0                | 3.0                | 3.0                |
| 06 02 05        | ააიპ „დმანისის სათნოების სახლი“                                     | 50.0              | 50.0               | 50.0               | 50.0               |
| 06 02 06        | მუნიციპალური ტრანსპორტით ვეტერანების და სტუდენტების უფასო მგზავრობა | 35.0              | 35.0               | 35.0               | 35.0               |
| 06 02 07        | მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები                                    | 0.0               | 0.0                | 0.0                | 0.0                |

## 5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამებების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

## მოსალოდნელი საბოლოო შედეგი



- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა.

## **შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- სხვადასხვა ინფექციური და არაგადამდები დაავადებებით მოქალაქეთა დასნებოვნების რაოდენობის მუნიციპალიტეტში დაყვანა;

## **5.2. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)**

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### **5.2.1. ავადმყოფთა სოციალური დაცვა(პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, 0-დან 100000 ჟულამდე) საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ოპერაციებზე დახმარების გაწევას, რომელიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება. ასევე სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ონკოლოგიური და ლეიკემიით დაავადების მქონე პირების დახმარება, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდებიან და მარჩენალდაკარგული ოჯახების გამოკვლევა-მკურნალობით და მედიკამენტებით დახმარების პროგრამას.

### **5.2.2. უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი 42-მდე ბენეფიციარის ყოველდღიურად კვება ცხელი კერძებით ადგილზე (სასადილოში), ხოლო იმ პირებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ გადაადგილება ცხელი კერძების სახლში გატანების უზრუნველყოფა.

### **5.2.3 სოციალურად დაუცველთა ოპერაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველთა, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70-100000-მდე სტაციონარული სამედიცინო ერთჯერადი დახმარება.

### **5.2.4.სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით;

### **5.2.5. მუნიციპალური ტრანსპორტით სტუდენტების, ვეტერანების და უსინათლოების მგზავრობის საფასურის ნაწილობრივი ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტების, ვეტერანების და უსინათლოების უფასო მგზავრობა კვირაში სამი დღე.

## **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**

- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.



## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სხვადასხვა ყოფითი სახის სტაციონარული დახმარება;
- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა.

